სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/15

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელის მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/26 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულს - თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრს - მიენიჭოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელი;
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 ივნისის №01-05-17/05 ერთობლივი დადგენილებით დამტკიცებულ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ბ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელობის თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი.“;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**